P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

საჯარო სექტორში დასაქმებულთა თანამდებობრივი სარგოს ზრდა მომავალ წელს არ იგეგმება

იხილეთ მე-4 გვერდზე

19 ოქტომბერს ჭიათურაში ტრადიციული დღესასწაული „ჭიათურობა“ გაიმართა

იხილეთ მე-4 გვერდზე

№30 (718) 27 ოქტომბერი - 2 ნოემბერი, 2014 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

პრეზიდენტი იაპონიაში, ნატო და ოკუპაცია

გიორგი მარგველაშვილი: „...ეს ჩემი ქვეყნის ოკუპაციას ლეგიტიმაციას არ აძლევს“

იხილეთ მე-3 გვერდზე

შეუთანხმებლობა და საბოტაჟი – გაიმართება თუ არა უშიშროების საბჭოს სხდომა?

საქართველოს პრეზიდენტმა 28 ოქტომბერს უშიშროების საბჭოს სხდომა დანიშნა. თუმცა, სხდომის ჩატარება ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რადგან საბჭოს მუდმივი წევრები, შესაძლოა, სხდომას არ დაესწრონ. საზოგადოებაში ისევ განახლდა პრეზიდენტსა და მთავრობას შორის დაპირისპირების თემა, უფრო მეტიც — ზოგიერთმა საბოტაჟის ნიშნებიც დაინახა.

პრეზიდენტმა 15 ოქტომბერს მიმართა საქართველოს პარლამენტს რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“ ხელშეკრულების მოსალოდნელი შედეგების თაობაზე პოზიციის შესამუშავებლად. 17 ოქტომბერს პარლამენტმა მიიღო განცხადება „რუსეთის ფედერაციის მხრიდან აფხაზეთის ანექსიის მცდელობის თაობაზე“, რომელშიც აღნიშნულია, რომ რუსეთი განაგრძობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მილიტარიზაციას, ხოლო ხსენებული ხელშეკრულება დამატებით საფრთხეს შეუქმნის რეგიონალურ სტაბილურობას. როგორც გიორგი მარგველაშვილი აცხადებს, ამ ხელშეკრულების გამო, გაუარესებულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში, მან მიზანშეწონილად ჩათვალა უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევა.

„ეს არის ძალიან საშიში ნაბიჯი. ამ ხელშეკრულების ტექსტი ძალიან სერიოზულ საკითხებს შეიცავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ქუთაისის მერიამ ხიდზე სამუშაოების დასასრულებლად სხვა კომპანია დაიქირავა

იხილეთ მე-2 გვერდზე

მობილურმა ოპერატორებმა ტარიფები უნდა შეამცირონ

იხილეთ მე-3 გვერდზე

საქველმოქმედო ორგანიზაციიდან მკურნალობისთვის მიღებული თანხა აღარ დაიბეგრება

იხილეთ მე-6 გვერდზე

მობილურ ქსელებში საერთაშორისო ზარების დასრულების მომსახურება აქციზით დაიბეგრება

იხილეთ მე-6 გვერდზე

ძალადობა, ინტროექტები და არჩევანი

იხილეთ მე-6 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, საფეხმავლო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

პროექტი „ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს“

იხილეთ მე-5 გვერდზე

სოციალური დახმარება როგორც დაბრკოლება

ვისთვის და რატომ არის სოციალური დახმარება პრობლემა?

იხილეთ მე-5 გვერდზე

PSnews.ge

ISSN 1987-7056

ჰოროსკოპი — გვ. 7 | კროსვორდი — გვ. 7

ქუთაისის მერიამ ხიდზე სამუშაოების დასასრულებლად სხვა კომპანია დაიქირავა

ქუთაისში რუსთაველის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები განახლდა. სამუშაოებს კომპანია „ჯეო კონსტრუქცია" ასრულებს. კომპანიის წარმომადგენელი, რომელიც ხიდზე მიმდინარე სამუშაოებს უშუალოდ კურირებს, აღნიშნავს, რომ მისთვის უცნობია, მერია კომპანიას შესრულებული სამუშაოებისთვის რამდენს გადაუხდის.

როგორც მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი მალხაზ ბასილაძე ჩვენთან სატელეფონო საუბარში აღნიშნავს, ხიდზე შესასრულებელი სამუშაოებისთვის მერიამ რამდენიმე კომპანიას მიმართა. სამუშაოების შესრულებაზე თანხმობა „ჯეო კონსტრუქციამ" განაცხადა, რომელიც ხიდის რეაბილიტაციას წინა ხელშეკრულებიდან დარჩენილი 106 000 ლარით დაასრულებს.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიასთან ხელშეკრულება ამ დროისთვის გაფორმებული არ არის, ხიდზე სარეაბილიტაციო სამუშაოები ორი დღეა მიმდინარეობს. ბასილაძის განცხადებით, ხელშეკრულება 23 ოქტომბერს გაფორმდა, სამუშაოების მალე დასრულების მიზნით კომპანია დაკისრებული მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

„ჯეო კონსტრუქციამ" სამუშაოები 45 დღეში უნდა დაასრულოს.

შეგახსენებთ, რომ რუსთაველის ხიდის რეაბილიტაციისთვის მერიამ რამდენიმე თვის წინ ხელშეკრულება შპს „გეგი"-სთან გააფორმა, თუმცა კომპანიამ პირობები დაარღვია, რის გამოც მერიამ კომპანიასთან სასამართლო დავაში შევიდა და ვადაგადაცილებისთვის „გეგის" 163 000 ლარს ედავება.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

B — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
● psnews27@gmail.com
● www.psnews.ge

შეუთანხმებლობა და საბოტაჟი – გაიმართება თუ არა უშიშროების საბჭოს სხდომა?

პირველი გვერდიდან

მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებაა ყირიმის სცენართან შედარებით, აქ არის ე.წ. „სახელმწიფოებრიობის" შენარჩუნება, მაგრამ რეალურად, ეს არ ცვლის შინაარსს. აქ საუბარია ერთიან შეიარაღებულ ძალებზე, ერთიან თავდაცვაზე, რაც, პრინციპში, შესაძლებელია, რომ შეფასდეს როგორც მცოცავი ოკუპაციის ნაირსახეობად და საქართველოს ტერიტორიის შემდგომ ხელყოფად" — აღნიშნა პრეზიდენტის მრჩეველმა საგარეო საკითხებში, **თენგიზ ფხალაძემ.**

„ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციის მიზნით კოორდინირებული ნაბიჯების დასაგეგმად ვიწვევ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომას 28 ოქტომბერს, 15:00 საათზე. ამასთან, ვიზიარებთ საქართველოს პარლამენტის პოზიციას, რომლის მიხედვითაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება პრიორიტეტულ თემად უნდა იქცეს საგარეო ურთიერთობების კონტექსტში როგორც ორმხრივი შეხვედრებისას, ისე საერთაშორისო ფორუმებზე უსაფრთხოების საკითხებზე მსჯელობისას. ამ პრიორიტეტს დავეყრდნობით საგარეო ურთიერთობებში ქვეყნის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში," — ნათქვამია პრეზიდენტის განცხადებაში.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ უშიშროების საბჭოს სხდომის დანიშვნის გამო გადაიდო პრეზიდენტის ვიზიტი ბელგიის სამეფოში, სადაც გიორგი მარგველაშვილის ნაცვლად პარლამენტის თავმჯდომარე მიდის. თუმცა, პრეზიდენტს არ მიბაძეს მინისტრებმა. მაგალითად, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ გიორგი მარგველაშვილს სხდომის გადადების თხოვნით მიმართა, რადგან, მისი განცხადებით, სწორედ ამ დროისთვის აქვს დაგეგმილი ვიზიტი გერმანიასა და საფრანგეთში.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, პაატა ზაქარეიშვილის, ინფორმაციით, როგორც მისთვის ცნობილია, 28 ოქტომბერს, უშიშროების საბჭოს წევრთა უმრავლესობა საქართველოში არ იქნება. ამასთან, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის გადადების თხოვნით მიმართა. სწორედ ამ დროისთვის არის დაგეგმილი ირაკლი ალასანიას ვიზიტი საფრანგეთსა და გერმანიაში. საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის თქმით, თუ უშიშროების საბჭოს მისი მუდმივმოქმედი წევრები არ დაესწრებიან, მის გამართვას აზრი არ აქვს. თუმცა, უშიშროების საბჭოს მდივანმა ირინა იმერლიშვილმა აღნიშნა, რომ სხდომა არ გადაიდება.

„თუ არ იქნება მთავარი მომხსენებელი, რა აზრი აქვს უშიშროების საბჭოს ჩატარებას?!.."

როგორც ირაკლი სესიაშვილმა „პირველ პრესკლუბში" განაცხადა, ეროვნული უშიშროების საბჭო პრეზიდენტის სათათბირო ორგანოა და მისი მოწვევის დროს ის თავად წყვეტს. როგორც პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნა, თუ პრეზიდენტი გადაწყვეტს, რომ სხდომის გამართვა მთავარი მომხსენებლის გარეშე მისთვის მიუღებელია, შეუძლია, ის სხვა დროს მოიწვიოს. ირაკლი სესიაშვილის თქმით, ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა რუსეთის მხრიდან მორიგი დესტრუქციული ნაბიჯის განსახილველად იკრიბება, რაზეც კრიზისების მართვის საბჭომ გაფართოებულ ფორმატში უკვე იმსჯელა, დაიგეგმა კონტრზომები და საერთაშორისო დონეზე არაერთი მნიშვნელოვანი განცხადება გაკეთდა.

„პრეზიდენტმა თავად განსაზღვრა ეს დრო. სამწუხაროდ, ის არ შეთანხმებია, ან წინასწარ არ გაუვლია კონსულტაციები, იყო თუ არა საბჭოს ყველა წევრი საქართველოში, რათა ეს შეხვედრა შემდგარიყო სრული შემადგენლობით. როგორც ჩანს, ეს სხდომა გაიმართება. სამწუხაროდ, რამდენიმე მინისტრი, როგორც ჩანს, ვერ დაესწრება, მაგრამ ის შედგება იმ ფორმატში, რა შესაძლებლობაც იქნება. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ეროვნული უშიშროების საბჭო არის პრეზიდენტის სათათბირო ორგანო. თუ პრეზიდენტი თვლის, რომ ამ შემადგენლობით, ასეთი ფორმატით აწყობს, გამართოს შეხვედრა, ჩვენ სხვა პასუხი არ გვაქვს, გარდა იმისა, რომ მას დავესწროთ," — განაცხადა **ირაკლი სესიაშვილმა.**

მისივე თქმით, სასურველი იყო, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციას გაერკვია, ჰქონდა თუ არა თავდაცვის მინისტრს, რომელიც მთავარი მომხსენებელია, საშუალება შეხვედრას დასწრებოდა.

პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე აცხადებს, რომ ცუდი არ იქნება თუ უშიშროების საბჭო მაშინ შეიკრიბება, როდესაც მასზე დასწრებას ყველა შეძლებს.

მისივე თქმით, რეალურად, რთული ვითარებაა შექმნილი და პრეზიდენტის ინიციატივა საბჭოს მოწვევასთან დაკავშირებით, ნამდვილად არ არის ზედმეტი კითხვის დასასმელი. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ უბრალოდ, კომუნიკაციის პრობლემა იყო და უშიშროების საბჭოს უფრო მეტი კომუნიკაცია რომ ჰქონოდა მინისტრთა კაბინეტთან და მათი დღის წესრიგიც ცოტა ადრე გაეგო, ურიგო არ იქნებოდა, რადგან დაგეგმილია ცალკეული მინისტრების ვიზიტები — უშიშროების საბჭოზე მთავარი მომხსენებელი უნდა ყოფილიყო თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, მაგრამ მას გერმანიასა და საფრანგეთში ვიზიტები კარგა ხნის წინ ჰქონდა დაგეგმილი.

„თუ არ იქნება მთავარი მომხსენებელი, რა აზრი აქვს უშიშროების საბჭოს ჩატარებას. ელემენტარული კომუნიკაციის პრობლემაა, თორემ უშიშროების საბჭოზე რა თქმა უნდა, მინისტრიც უნდა მივიდეს, მეც ვიყავი მიწვეული და სხვა კომიტეტის თავმჯდომარეები. ჯერ არ ვიცი, ეს სხდომა გაიმართება თუ არ გაიმართება, მაგრამ ყველას გვაინტერესებს ეს საკითხი, ყველა ვალდებულია მივიდეს კიდეც და იმსჯელოს იმ ურთულეს საკითხზე, რომელიც აფხაზეთს შეეხება," — განაცხადა **ვიქტორ დოლიძემ.**

შეუთანხმებლობა თუ საბოტაჟი?!

გაზეთ „რეზონანსის" მთავარი რედაქტორი ლაშა ტუღუში კი უშიშროების საბჭოს წევრების ქცევაში საბოტაჟს ხედავს. მისი თქმით, ეს არ არის ჯანსაღი სიტუაცია. ლაშა ტუღუშის შეფასებით, მათ, ვისაც არ ესმის, რას ნიშნავს პრეზიდენტის ინსტიტუტი, ამ ადამიანების ადგილი პოლიტიკაში არ არის.

„როდესაც იგნორირებას უკეთებ პრეზიდენტს, რომელიც რუსეთის აგრესიასთან დაკავშირებით უშიშროების საბჭოს იწვევს, ობსტრუქციას უწყობ მას ამ საკითხში და რაღაც აბსურდული პოზიციით ამტკიცებ, თითქოს მას უფლება არ აქვს ან სამართლებრივად სწორი არ არის, ეს ხომ არასერიოზული დამოკიდებულებაა. მე ვფიქრობ, რომ ასეთი ხალხი საერთოდ პოლიტიკაში არ უნდა იყოს. ადამიანები, რომლებსაც არ ესმით რას ნიშნავს პრეზიდენტის ინსტიტუტი და თავისი ვიწრო გადასახედიდან უყურებენ პრობლემას, ამ ადამიანების ადგილი პოლიტიკაში არ არის. მე ასეთ ხალხს ორ ბატსაც არ ჩავაბარებდი. ეს ხალხი არ არის იმის ღირსი, რომ დეპუტატები, მინისტრები იყვნენ," — აღნიშნა **ლაშა ტუღუშმა.**

რაც შეეხება იმ საკითხს, უშიშროების საბჭოზე დასასწრებად, პრეზიდენტის მსგავსად, უნდა გააუქმონ თუ არა საბჭოს წევრმა მინისტრებმაც დაგეგმილი ვიზიტები, ლაშა ტუღუშის აზრით, შესაძლოა, რომელიღაც ერთი მინისტრის პოზიცია გამართლებული იყოს, მაგრამ როდესაც მასობრივად ხდება, ეს ჰგავს საბოტაჟს.

„გაუთავებლად არის კითხვის ქვეშ, მივლენ მინისტრები თუ არ მივლენ, რატომ მიდის ან არ მიდის პრემიერ-მინისტრი, უნდა გაიმართოს თუ არა სხდომა, ხანდახან თვალში ნაცარს გვაყრიან, რომ ვითომ ობიექტური მიზეზები არსებობს, ეს, რა თქმა უნდა, პირადად ჩემში აზრს ბადებს, რომ უნდათ პრეზიდენტის იგნორირება მოახდინონ," — ამბობს ბატონი ტუღუში.

ექსპერტ ნიკა ჩიტაძის განცხადებით, ეროვნული უშიშროების საბჭო კონსტიტუციური ორგანოა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ვინც საბჭოს მუდმივმოქმედი წევრები არიან, სხდომას უნდა დაესწრონ. როგორც ექსპერტმა „პირველ პრესკლუბში" აღნიშნა, ის მიესალმება პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ბელგიაში ვიზიტის გაუქმების თაობაზე.

მისივე თქმით, იმ შეხვედრის გამო, რომელიც უნდა მიეძღვნას ისეთ მტკივნეულ საკითხს, როგორიცაა აფხაზეთი და მისი ანექსიის რეალური საფრთხე, თითოეულმა პოლიტიკოსმა გვერდზე უნდა გადადოს პირადი ამბიცია და 28 ოქტომბერს უნდა გაიმართოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა — აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი, ვინც უშიშროების საბჭოს წევრია, ვალდებულია ამ შეხვედრას დაესწროს.

„საკითხი არ უნდა დაისვას ასე — რამდენად მართებულია სხდომის გამართვა, თუკი პრემიერი და რამდენიმე მინისტრი არ დაესწრება მას?! არამედ ასე — რატომ არ ესწრებიან ეს მინისტრები და პრემიერ-მინისტრი სხდომას, რატომ გაიმართა ცალკე კრიზისების მართვის საბჭოს სხდომა და რატომ არ სურთ იგივე ადამიანებს დაესწრონ უშიშროების საბჭოს. ვფიქრობ, ეს ქმედება არ იქნება მოწონებული ქართული საზოგადოების მიერ, მითუმეტეს, როდესაც დღის წესრიგში აფხაზეთის შესაძლო ანექსიის საკითხია. მინისტრებმა სახელმწიფოს მეთაურს უნდა მიბაძონ და საკუთარი შეხვედრები ან ვიზიტები გადადონ. თითოეულმა ადამიანმა, მინისტრი იქნება ეს პოლიტიკოსი, თუ ჩვეულებრივი ადამიანი პატივი უნდა სცეს პრეზიდენტის ინსტიტუტს," — აცხადებს **ნიკა ჩიტაძე.**

ამრიგად, უშიშროების საბჭოს სხდომის დანიშვნამ კიდევ ერთხელ დააყენა დღის წესრიგში კითხვის ნიშნის ქვეშ პრეზიდენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობები. ჩატარდება თუ არა სხდომა, გაურკვეველია. შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ გიორგი მარგველაშვილმა კიდევ ერთხელ განაცხადოს ხმამაღლა მის მიერ დაგეგმილი, კიდევ ერთი ღონისძიების ჩაშლის თაობაზე, როგორც ეს მოხდა გაერო-ში ვიზიტთან დაკავშირებით. თუმცა, ეს, ალბათ, უკვე არა მთავრობის ან პრეზიდენტის, არამედ მთელი ქვეყნის იმიჯს დააზიანებს.

ციტნე გაბაძაძე

პრეზიდენტი იაპონიაში, ნატო და ოკუპაცია

გიორგი მარგველაშვილი: „...ეს ჩემი ქვეყნის ოკუპაციას ლეგიტიმაციას არ აძლევს“

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და იაპონიის პრემიერ-მინისტრმა, შინზო აბემ საქართველო-იაპონიას შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს. 23-პუნქტიანი ერთობლივი დოკუმენტი ითვალისწინებს დემოკრატიისა და მშვიდობის მხარდაჭერას და ორ ქვეყანას შორის, როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ თანამშრომლობას. აღსანიშნავია, რომ მემორანდუმის ორი ქვეთავი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხებს ეთმობა — საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხთან დაკავშირებით, ჩანაწერი მე-18 და მე-19 თავებში გაკეთდა.

„ორივე მხარე იზიარებს შეხედულებას საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში (სამხრეთ ოსეთში) კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების შესახებ, საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების დაცვით, რაც მნიშვნელოვანია საქართველოსა და მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობისთვის. ასევე ხაზგასმით აღნიშნავს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მნიშვნელობას და ეფუძნება 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას. ქართული მხარე გამოხატავს უკიდურეს შეშფოთებას რუსეთის განზრახვის გამო, დადოს „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ“ ე.წ. ხელშეკრულება საქართველოს ოკუპირებულ რეგიონთან – აფხაზეთის რეჟიმთან. ორივე მხარე ეწინააღმდეგება მრავალმხრივ მცდელობას შეიცვალოს საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში,“ — აღნიშნულია მემორანდუმის მე-18 პუნტში.

რაც შეეხება დოკუმენტის მე-19 პუნქტს, ორივე მხარე აღიარებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისა და დევნილების უფლებების უზრუნველყოფის მნიშვნელობას.

„განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი უფლება, დაუბრუნდნენ მშობლიურ ადგილებს გაეროს რეზოლუციის შესაბამისად“ — აღნიშნულია დოკუმენტში.

დოკუმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ იაპონური მხარე მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და იზიარებს ქართული მხარის შეშფოთებას ოკუპირებულ აფხაზეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის სამეკავშირეო ხელშეკრულების გაფორმების გეგმასთან დაკავშირებით.

მემორანდუმში ასევე მოხვდა უკრაინის თემა. ორივე მხარე ამახვილებს ყურადღებას კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტის მნიშვნელობის თაობაზე და ადასტურებს უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

საქართველოს პრეზიდენტი იაპონიაში რამდენიმედღიანი ვიზიტით იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში მან სხვადასხვა შეხვედრები გამართა, მათ შორის სიტყვით გამოვიდა სასაკავას მშვიდობის ფონდში, სადაც განაცხადა, რომ საქართველო არ უყურებს ნატო-ს, როგორც ტერიტორიული მთლიანობის პრობლემების გადაჭრის საშუალებას. პრეზიდენტის განმარტებით, საქართველო გადაჭრის ამ პრობლემებს გაცხადებული მშვიდობიანი ფორმატით.

„ჩვენ გადავჭრით ამ პრობლემებს არა სამხედრო გზით, არამედ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები საზოგადოებისა და მოსახლეობის ჩართულობით საქართველოში მიმდინარე პოზიტიურ პროცესებში“ — განაცხადა მარგველაშვილმა. საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ამის მიუხედავად, არსებობს მაგალითები, როცა ნატო-ს წევრი გახდნენ ისეთი ქვეყნები, რომლებსაც ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა ჰქონდათ.

„ჩვენ გვაქვს ამის მაგალითები. შეგიძლიათ, აიღოთ ნატო-ს ისტორია და ნახავთ, რომ არ არის მოთხოვნა, ქვეყნებს გადაჭრილი ჰქონდეთ ტერიტორიული პრობლემა. მაგალითად ავიღოთ გერმანია: ის ითვლებოდა ერთ ერად, მაგრამ არსებობდა ორი სახელმწიფო, აქედან ერთ-ერთი ნატო-ს წევრი იყო. მე გავიზარდე საბჭოთა კავშირში, სადაც მეუბნებოდნენ, რომ ნატო არის ჩვენი ძირითადი მტერი და არ არსებობს არანაირი გზა, ვიყოთ მისი პარტნიორები, თუმცა ბოლო 25 წლის განმავლობაში ვნახე, რომ ევროპა იზრდება, ნატო იზრდება, ევროკავშირისა და ნატო-ს საზღვრები კიდევ უფრო უახლოვდება რუსეთს და რუსეთს აქვს ყველაზე მშვიდი საზღვრები ევროკავშირსა და ნატო-სთან,“ — აღნიშნა **გიორგი მარგველაშვილმა.**

მისივე თქმით, რუსეთს აქვს ყველაზე ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები ევროკავშირისა და ნატო-ს სახელმწიფოებთან. რუსეთი ჩართულია ერთობლივ სამხედრო პროექტებში ევროკავშირისა და ნატო-ს წევრ სახელმწიფოებთან, რუსეთს არ აქვს არანაირი სირთულეები, თავს გრძნობდეს კარგად, როდესაც მიდიან სამოგზაუროდ, სავაჭროდ, კულტურული ურთიერთობებისთვის, თუ საცხოვრებლად ევროპაში.

„ისინი არიან ძალიან მეგობრულები ევროპელებთან და მათ ეს ურთიერთობები მოსწონთ. თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს უფრო რთულია საქართველოში. ასე რომ, როდესაც მე ვხედავ ნატო-ს და ევროკავშირის გაფართოებას, მე ასევე ვხედავ ძალიან მშვიდობიან პარტნიორობას რუსეთსა და ნატო-ს წევრ სახელმწიფოებს შორის. მათ ასევე აქვთ სპეციალური ფორმატი რუსეთთან ურთიერთობებისთვის, თუმცა უეცრად ეს საკითხები გახდა მწვავე, პრობლემური საქართველოს, უკრაინისა და ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ჭრილში. ეს არ არის რუსეთ-ევროკავშირისა და რუსეთ-ნატო-ს ურთიერთობების გამო, ეს არის გაცხადებული პრივილეგირებული ინტერესების ზონის არსებობის თეორიის გამო, რომელიც განსაზღვრავს, რომ რუსეთს აქვს სპეციალური უფლებები, ინტერესები და შესაძლებლობები თავის მეზობლებთან მიმართებაში. ეს არის მთავარი პრობლემა — მეზობლებთან დამოკიდებულების პრობლემა,“ — განმარტა საქართველოს პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტი სასაკავას ფონდში რუსეთ-საქართველოს შორის 2008 წლის ომსაც შეეხო. „შესაძლოა, დაშვებული იყო რაღაც შეცდომები, თუმცა ეს ჩემი ქვეყნის ოკუპაციას ლეგიტიმაციას არ აძლევს“ — ასე უპასუხა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა იაპონელი ჟურნალისტის შეკითხვას, ხედავს თუ არა ექსპრეზიდენტის დანაშაულს 2008 წლის ომში. მარგველაშვილის თქმით, შესაძლოა, ყოფილი პრეზიდენტის ან მთავრობის მხრიდან შეცდომები იქნა დაშვებული, თუმცა ეს ომის პირობებში ყოველთვის ხდება.

„ასეთი სირთულეები ყოველთვისაა, მაგრამ ნება მომეცით, ერთი მარტივი ჭეშმარიტება გამოვყო, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ეს ტერიტორიები საქართველოს ტერიტორიებია. საქართველო ვერ გამოუცხადებს ომს რუსეთს საკუთარ ტერიტორიაზე. შესაძლოა, დაშვებული იყო რაღაც შეცდომები, თუმცა ეს ჩემი ქვეყნის ოკუპაციას ლეგიტიმაციას არ აძლევს. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ გაფორმებული იყო ხელშეკრულება სარკოზისა და მედვედევს შორის, რომელიც აყენებდა პრობლემის დარეგულირების საკითხს და არა ამ ტერიტორიების დამოუკიდებლად აღიარების თემას,“ — განაცხადა მარგველაშვილმა იაპონიაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, სასაკავას მშვიდობის ფონდში სიტყვით გამოსვლისას.

ცოტნე გაბადაძე

ქართული დელეგაციის წევრები ჩინეთის სასმელებისა და კვებითი მრეწველობის გამოფენის გახსნას დაესწრნენ

24 ოქტომბერს, სიჩუანის პროვინციაში ქ. ჩენგდუში სასმელებისა და კვებითი მრეწველობის მე-15 საერთაშორისო გამოფენა (The 15th Western China international fair) გაიხსნა, სადაც ქართული კომპანიები მონაწილეობენ. საქართველოს დელეგაციის წევრები საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღონია, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნოდარ კერესელიძე, ეკონომიკის მინისტრის მოადგილე მიხეილ ჯანელიძე და საქართველოს ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დავით აფციაური გამოფენის გახსნას დაესწრნენ და გამოფენაზე წარმოდგენილი ქართული სტენდი დაათვალიერეს.

ჩენგდუს გამოფენის ძირითადი მიზანია წარმოაჩინოს თითოეული მონაწილე ქვეყნის ეკონომიკური და ტურისტული შესაძლებლობები. ღონისძიება შესაძლებლობას იძლევა, დამყარდეს კონტაქტი ადგილობრივ ბაიერებთან და მოხდეს ქართული პროდუქციის მასშტაბური პოპულარიზაცია. გამოფენაში The 15th Western China international fair 72 ქვეყნიდან 4 000-ზე მეტი კომპანია მონაწილეობს, ხოლო ვიზიტორების რაოდენობა 400 000-ს აღემატება, საიდანაც პროფესიონალი თრეიდერების რიცხვი 20 000-ზე მეტია.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით და ეკონომიკის სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, აღნიშნულ გამოფენაზე ქართულ სტენდზე წარმოდგენილია ღვინის, წვენების, წყლის და კვების მრეწველობაში მოქმედი ქართული კომპანიები. გამოფენაზე საკუთარი პროდუქცია წარადგინეს კომპანიებმა „კულა“, „მარნეულის სასურსათო ქარხანა“, „წყალი მარგველი“. ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით გამოფენაზე საკუთარ პროდუქციას წარადგენენ შემდეგი ღვინის კომპანიები: „მეღვინეობა ხარება“, „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ „შატო მუხრანი“ „ს.ს. ბაგრატიონი 1882“, „კახური ღვინის მარანი“, „ქინძმარაულის მარანი“ და „ქიმერიონი“.

მობილურმა ოპერატორებმა ტარიფები უნდა შეამცირონ

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი კანონი თავისუფლება“ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ურთიერთჩართვის ტარიფის და შიდა ზარებზე აქციზის გადასახადის შემცირებას ეხმიანება და მიიჩნევს, რომ ამ მნიშვნელოვანმა ცვლილებამ ტარიფების კლება უნდა გამოიწვიოს.

„ურთიერთჩართვის ტარიფი კომუნიკაციის ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით 5 თეთრიდან 3,5 თეთრამდე შემცირდა. ასევე, აქციზი, რომელიც შიდა ზარებზე 10%-ს შეადგენდა, 8%-მდე შემცირდა. ეს არის მნიშვნელოვანი ცვლილება, რამაც მობილურით საუბრის ტარიფის შემცირება უნდა გამოიწვიოს“ — აცხადებენ ორგანიზაციაში.

ორგანიზაციაში თვლიან, რომ ასეთ შემთხვევებში კონკურენციის სააგენტო უნდა აკვირდებოდეს პროცესებს და ახდენდეს შესაბამის რეაგირებას.

„კონკურენციის სააგენტოს დიდი როლი აკისრია მობილური ოპერატორების, „მაგთის“, „ჯეოსელის“ და „ბილაინის“ საქმიანობის შესწავლის კუთხითაც. სახეზე გვაქვს მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც რეალურად ასახვა უნდა ჰპოვოს ფასებზე. ახალი რეგულაციების შედეგად, მობილურ ოპერატორებს 1,5 თეთრით მეტი რჩებათ განხორციელებულ ზარებზე. ასევე, 2%-ით დაიკლო შიდა ზარებზე აქციზის გადასახადმა. ეს საკმარისი საბაბია იმისათვის, რომ მოსახლეობისთვის საუბრის ღირებულება შემცირდეს.

თუ ცვლილებები საუბრის ტარიფზე არ აისახება, შესაძლოა, საქმე გვქონდეს კარტელურ გარიგებასთან. რაც უფრო გვიან აისახება ტარიფის ცვლილება, მით უფრო დაიგვიანებს აბონენტებამდე ამ სიკეთის მიტანა. თითოეული მოქალაქის ჯიბიდან უფრო მეტი თანხა დაიხარჯება და ამით მხოლოდ „მაგთი“, „ჯეოსელი“ და „ბილაინი“ იხეირებენ. 2014 წლის აგვისტოს მონაცემებით მათი საცალო შემოსავლები თვეში 42 მლნ ლარს გასცდა, საიდანაც 36 მლნ ლარი უშუალოდ განხორციელებულ ზარებზე მოდის. აგვისტოს ჩათვლით მობილური ოპერატორების შემოსავლებმა უკვე 305,8 მლნ ლარს გადააჭარბა. ასეთი მოცულობის ბაზრისთვის ურთიერთჩართვის ტარიფის 1.5 ლარით შემცირება მნიშვნელოვან თანხებს უკავშირდება, რომ აღარაფერი ვთქვათ აქციზის გადასახადის 2%-ზე. თანხების მოცულობიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ კარტელური გარიგების რისკი საკმაოდ დიდია“ — ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში.

ორგანიზაციის წევრები აკვირდებიან მობილური ოპერატორების რეაგირებას ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით და, იმ შემთხვევაში, თუ უახლოეს მომავალში აღნიშნული ცვლილება ასახვას არ ჰპოვებს ტარიფებზე, „ადამიანი კანონი თავისუფლება“ კონკურენციის სააგენტოს საკითხის შესწავლისა და კანონის შესაბამისად მოქმედების თხოვნით მიმართავს.

ქუთაისში, აღმაშენებლის გამზირზე პალმებმა ხმობა დაიწყო

აღმაშენებლის გამზირზე საგანგებოდ დარგულმა, უნიკალური ჯიშის პალმებმა ხმობა დაიწყო. რამდენიმე მარადმწვანე მცენარე უკვე დაზიანებულია. მოსახლეობა პალმების ხმობას არასათანადო მოვლას უკავშირებს, როგორც აღმაშენებლის გამზირზე მცხოვრებნი აღნიშნავენ, გასულ ზამთარს ხეები დროულად არ შეიფუთა და არც ზაფხულში მომხდარა პალმების მორწყვა.

„მთელი ზაფხული ვხედავდი, რომ პალმები არ მორწყულა, ადგილობრივ თვითმმართველობას კი ეს პრობლემა პრობლემად არ მიაჩნია, თორემ ზაფხულში ერთხელ მაინც მოირწყვებოდა. დაახლოებით, 5-7 პალმაა გამხმარი, რამდენიმე კი საერთოდ ამოღებულია მიწიდან," — აღნიშნავს აღმაშენებლის გამზირზე მცხოვრები **ნანა მაკარიძე**.

ადგილობრივები ასევე ამბობენ, რომ თვითმმართველობა მცენარეების ხმობას, გადატვირთულ მოძრაობას და მანქანების გამონაბოლქვს უკავშირებს.

პალმების ხმობა უყურადღებობით რომ მოხდა, არ ადასტურებენ ქუთაისის მერიაში. როგორც კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი მალხაზ ბასილაძე აღნიშნავს, აღნიშნული პრობლემა ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ცნობილია და გამხმარი პალმების ახალი ნარგავებით შეცვლა 2015 წლის გაზაფხულზე დაიწყება.

აღმაშენებლის გამზირზე პალმების ხეივანი „ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის დროს გაკეთდა. აღნიშნულ ადგილზე ნეკერჩხლების ამოძირკვას და მათ ნაცვლად პალმების დარგვას საზოგადოების ნაწილის პროტესტი მოჰყვა.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

მიმოქცევაში 100 ლარის ნომინალის ახალი ბანკნოტები გაეშვება

მიმოქცევაში ახალი, 2014 წელს გამოშვებული 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები გაეშვება. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილების მიხედვით, ახალი 100-ლარიანი ბანკნოტები, 2012 წლის გამოშვების იგივე ნომინალის ბანკნოტების იდენტურია.

სებ-ის საბჭოს დადგენილებაში მითითებულია, რომ არ არის განსხვავება დიზაინისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით. ახალ ბანკნოტზე შეცვლილია მხოლოდ გამოშვების წელი და ფინანსთა მინისტრის ხელმოწერა.

100 ლარის ნომინალის ბანკნოტები მიმოქცევაში წინა წლების გამოშვების იგივე ნომინალის ბანკნოტების პარალელურად ჩაეშვება და ანგარიშსწორება განხორციელდება შეუფერხებლად.

საქართველოს ეროვნული ვალუტა — ლარი, მიმოქცევაშია 1995 წლის 2 ოქტომბრიდან.

BPI

საჯარო სექტორში დასაქმებულთა თანამდებობრივი სარგოს ზრდა მომავალ წელს არ იგეგმება

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული არ არის საჯარო სექტორში დასაქმებულთა თანამდებობრივი სარგოების ზრდა.

უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში მითითებულია, რომ ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს პედაგოგთა ხელფასების გაზრდისა და მოწესრიგებაზე, რაც ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტის პარლამენტისათვის წარდგენის დროს აისახება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ვაუჩერული დაფინანსებისათვის გათვალისწინებულ ასიგნებებში.

„ზემოაღნიშნულის მიუხედავად 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში შრომის ანაზღაურების მუხლისათვის გათვალისწინებული ოდენობა 2014 წელთან შედარებით გაზრდილია 54.0 მლ ლარით. აღნიშნული გამოწვეულია შემდეგი მიზეზით:

საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი ნორმები იძლევა შესაძლებლობას საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის მიმდინარე ხარჯების დაფარვის მიზნით გამოყოფილი ასიგნებები გათვალისწინებული იქნეს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „სუბსიდიის" მუხლში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების დიდი ნაწილისათვის აღნიშნული ნორმა გამოიყენებოდა და შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში მათი დაფინანსება წარმოდგენილი იყო მხოლოდ სუბსიდირებით და არ ასახავდა მათ მიერ დასაქმებულ მომუშავეთა რიცხოვნობას და მათთვის გაწეულ შრომის ანაზღაურებას.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში ყოველწლიურად უმჯობესდება საჯარო ფინანსების აღრიცხვის მექანიზმები, შესაბამისად მიზანშეწონილად ჩაითვალა 2015 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირების გადასახდელების დაგეგმვა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლების მიხედვით და მათ მიერ დასაქმებულთა ასახვა წლიური ბიუჯეტის კანონში.

მაგალითად: ყველასთვის ნათელია, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ სხვადასხვა თეატრებში, მუზეუმებში, ანსამბლებსა და კულტურის სხვა დაწესებულებებში დასაქმებულია და ხელფასს იღებს კულტურის მოღვაწეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა და შესაბამისი ტექნიკური პერსონალი. მათი შრომის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული თანხა ზემოაღნიშნულის გათალისწინებით წლების მანძილზე გაიწეოდა „სუბსიდიის" მუხლიდან და ამ დაწესებულებებში დასაქმებული პირები არ შედიოდნენ ბიუჯეტის კანონით შესაბამისი სამინისტროსათვის გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობაში.

2015 წლის ბიუჯეტის პროექტში კი მოხდა ამ საშტატო ერთეულების მომუშავეთა რიცხოვნობაში გათვალისწინება და მათი შრომის ანაზღაურებისათვის საჭირო რესურსების გათვალისწინება „შრომის ანაზღაურების" მუხლში ნაცვლად „სუბსიდიის" მუხლისა, რის გამოც სამინისტროს რიცხოვნობა 2014 წლის ბიუჯეტით დამტკიცებულ ოდენობასთან შედარებით გაზრდილია 6067 ერთეულით, ხოლო შრომის ანაზღაურების ფონდი 47.0 მლნ ლარით და აღნიშნულის ხარჯზე შემცირებულია სამინისტროს ბიუჯეტის პროექტით „სუბსიდიის" მუხლში გათვალისწინებულო ოდენობა," — ნათქვამია სამინისტროს გავრცელებულ განცხადებაში.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ჯამურად მომუშავეთა რიცხოვნობა 2014 წლის დამტკიცებულ მოცულობასთან მიმართებაში გაზრდილია 4460 ერთეულით, ხოლო შრომის ანაზღაურების ფონდი 54.0 მლნ ლარით.

psnews.ge

19 ოქტომბერს ჭიათურაში ტრადიციული დღესასწაული „ჭიათურობა" გაიმართა

„ჭიათურობასთან" დაკავშირებული საზეიმო კვირეული, რომელიც მრავალი კულტურული, გასართობი და სპორტული ღონისძიებებით იყო დატვირთული, 13 ოქტომბერს დაიწყო და მთელი კვირის განმავლობაში გაგრძელდა მუნიციპალიტეტის ცენტრსა და რამდენიმე სოფელში.

კვირეულის ბოლო დღე, 19 ოქტომბერი, ერთდროულად „ჭიათურობასა" და კაცხის მაცხოვრის სახელობის ტაძრის ათასწლოვან იუბილეს მიეძღვნა.

დღესასწაულში, ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, ხელისუფლების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრებიც იღებდნენ მონაწილეობას. ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, სულხან მახათაძემ, ტრადიციულად, ჭიათურის საპატიო მოქალაქეები დაასახელა. წელს ეს პატივი წილად ხვდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ეკონომიკის ექსპერტს, ყოფილ ფინანსთა მინისტრ **დავით იაკობიძეს** და ცნობილ ჟურნალისტს, გეოლოგს, გეოგრაფს, მთამსვლელს, პროფესორ **ივანე ჯაფარიძეს**. საპატიო ჭიათურელის წოდება მიენიჭა ჭიათურასთან დამეგობრებული ლატვიის ქალაქის, სიგულდას მკვიდრს, **აივარს იანსელსიტისს**, ადამიანს, რომელიც პირველად ჭიათურაში 1957 წელს ჩამოვიდა (ამდენივე წელს ითვლის ამ ორი ქალაქის მეგობრობა) და ბევრი რამ გააკეთა ჭიათურისა და სიგულდის მეგობრობის განსამტკიცებლად. სიკვდილის შემდეგ საპატიო ჭიათურელის წოდება მიენიჭა საბაგირო გზების პატრიარქს, **გიორგი ფანცულაიას**.

დასკვნითი ღონისძიებისათვის ჭიათურის კულტურის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფლებს საკუთარი ეთნოგრაფიული კუთხეები ჰქონდათ მოწყობილი. პავილიონებში სოფლის მეურნეობის პროდუქტები იყო წარმოდგენილი. თითოეულ კუთხესთან საგანგებოდ იყო გაშლილი სუფრა, სადაც დღესასწაულის სტუმრებს ეროვნული კერძების დაგემოვნებისა და ღვინის დაჭაშნიკების საშუალება ჰქონდათ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მუნიციპალიტეტის ყველაზე დიდი თემის, ნიგოზეთის, პავილიონი, რადგან ტრადიციული სუფრის გარდა თემს წარმოდგენილი ჰქონდა ადგილობრივი წარმოების ღვინო ბოთლებით და დაპაკეტებული ჩაი „ნიგოზეთის" სახელწოდებით (ჩაისა და ღვინის წარმოებაში წვლილი შეიტანა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ინა ასანიძემ. მისი დახმარებით მოხერხდა ღვინის მინის ბოთლებში ჩამოსხმა და ადგილობრივი წარმოების ჩაის პაკეტებში დაფასოება).

სადღესასწაულო კვირეულის ეპიცენტრი სოფელი კაცხი გახლდათ, სადაც აღინიშნა ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შესანიშნავი ქმნილების, კაცხის ტაძრის, იუბილე. ამ თარიღის აღსანიშნავად სასულიერო პირებმა და მრევლმა ფეხით მსვლელობა მოაწყვეს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის მშენებარე ტაძრიდან კაცხის მაცხოვრის სახელობის ეკლესიამდე. ტაძრის ეზოში გამართულ ღონისძიებაზე სტუმრებსა და მრევლს მიმართეს ჭიათურა-საჩხერის ეპარქიის მიტროპოლიტმა, მეუფე დანიელმა და მუნიციპალიტეტის გამგებელმა, სულხან მახათაძემ. საზეიმო განწყობა აამაღლა იმანაც, რომ წვიმიანი ამინდის შემდეგ ცაზე ცისარტყელამ გამოანათა. ტაძრის ათასი წლის იუბილის აღსანიშნავად მიმდებარე ტერიტორიაზე სიმბოლურად დაირგო ათასი ძირი ფიჭვის ნერგი.

აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით გამოიცა კაცხის ტაძრის ისტორიის ამსახველი ფოტოალბომი. ქალაქის დღე ჭიათურლებთან ერთად უცხოელმა სტუმრებმაც იზეიმეს. დამეგობრებული ქალაქების: სიგულდას (ლატვია), ბირშტონასის (ლიტვა) და კეილას (ესტონეთი) დელეგაციები ჭიათურას საგანგებოდ, „ჭიათურობასთან" დაკავშირებით ეწვივნენ და ქალაქში მიმდინარე ღონისძიებებს დაესწრნენ. სამწუხაროდ, თურქეთის დელეგაცია ვერ ჩამოვიდა ქალაქ მურღულიდან. კაცხის ტაძრის იუბილისათვის ჭიათურას ეწვივნენ საქართველოს პარლამენტის წევრი ანი მიროტაძე, საჩხერის, თერჯოლისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების პირველი პირები.

კაცხის ტაძარში 21 ოქტომბერს აღავლინა საზეიმო წირვა საჩხერე-ჭიათურის ეპარქიის მიტროპოლიტმა, მეუფე დანიელმა.

დღესასწაულისათვის ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მცირე თანხის გამო საჭირო გახდა მატერიალური თანადგომა, რაც „ჯორჯიან მანგანეზმა" და „ჯორჯია ტრეიდინგმა" განახორციელა.

როლანდ ხოჯანაშვილი

სოციალური დახმარება როგორც დაბრკოლება

ვისთვის და რატომ არის სოციალური დახმარება პრობლემა?

საქართველოს კანონის „სოციალური დახმარების შესახებ" მიზანია სოციალური დახმარების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებით მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველყოფა.

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა, რომლის სარეიტინგო ქულა 56 000 ქვემოთაა, რამდენიმე წელია სახელმწიფოსგან შემწეობას იღებს. არსებული კანონით სტატუსმქონე ოჯახი ერთ წევრზე 60, დანარჩენ წევრზე კი 50 ლარს იღებს.

არსებული კანონმდებლობით ერთჯერადი დამატებითი შემოსავლის დაფიქსირებისთანავე, ოჯახი შემწეობას კარგავს. აღნიშნული ფაქტი ხშირად სიზარმაცის მასტიმულირებელი ხდება. რადგან სოციალურად დაუცველთა უმეტესობა შემწეობის დაკარგის შიშით უარს ამბობს სამუშაოზე. რის გამოც სახელმწიფო ორმაგ ზარალს იღებს – ერთი, რომ სახელმწიფო ყოველთვიურად სოლიდურ თანხას გასცემს შრომისუნარიან მოქალაქეებზე, მეორეს მხრივ, სტატუსმქონე მოქალაქეები მალულად მუშაობენ, რის გამოც დამსაქმებელი სახელმწიფოს გადასახადს უმალავს.

სოციალური დახმარების გაუმართაობის გამო პრობლემას ხშირად ხვდება არასამთავრობო ორგანიზაცია People in Need. ორგანიზაცია საქართველოში 2005 წლიდან ფუნქციონირებს და სოციალურად შეჭირვებულთა მხარდაჭერის კუთხითაც მუშაობს.

ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა პროექტის „სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების მხარდაჭერა და მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში" ანგარიშსა და მუშაობის პროცესში გამოვლენილ ხარვეზებზე ქუთაისში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ისაუბრეს. როგორც შეხვედრაზე გამოიკვეთა, სოციალური დახმარება ხშირ შემთხვევაში სოციალურად დაუცველთა სტატუსმქონე ოჯახის ახალგაზრდა წევრები საკუთარი საქმიანობის წამოწყებაზე ამბობენ უარს.

„ჩვენი ორგანიზაცია განათლების, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობისა და სოციალურად გაჭირვებული ადამიანების დახმარებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის სხვადასხვა პროექტს ახორციელებს. ბოლო პროექტის ფარგლებში, ძირითადად, სოციალურად დაუცველი ოჯახის ახალგაზრდა წევრებთან ვმუშაობდით. გავცემდით 1500 ლარიან გრანტებს. სოციალური დახმარების სტატუსმქონე ახალგაზრდებისთვის ჩავატარეთ პროფესიული გადამზადების ტრენინგები, რომელშიც 92 ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. ტრენინგის დასრულების შემდეგ დასაქმდა ან საკუთარი საქმიანობა დაიწყო 22-მა ახალგაზრდამ. ასევე გავცემდით გრანტებს 5000 ლარის ფარგლებში, სახელმწიფო კოლეჯების სტუდენტებზე დასაქმების მიზნით. კონკურსის ფარგლებში არჩეული 60 სტუდენტისაგან კონკურსით დაინტერესება მხოლოდ 11-მა გამოიჩინა. გამოკითხვის მეშვეობით გავარკვიეთ, რომ სტუდენტების უმეტესობამ გრანტებზე უარი სოციალური დახმარების დაკარგვის შიშით განაცხადა. ხშირად მშობლები უკრძალავენ ახალგაზრდებს საქმიანობის წამოწყებას, რადგან შემწეობის დაკარგვის ეშინიათ. დელიკატური თემაა, მაგრამ, სამწუხაროდ, სოციალური დახმარების პროგრამაში არაერთი ხარვეზია. სწორედ გაუმართავი სოციალური დახმარების პროგრამა ხდება ახალგაზრდებში დემოტივაციის და სიზარმაცის მიზეზი. ჩვენ არ ვამბობთ, რომ სოციალური დახმარება ცუდია, მაგრამ უმჯობესია, უფრო მოქნილი გახდეს და შემწეობა მხოლოდ იმ ადამიანებმა მიიღონ, რომლებიც აუცილებლად საჭიროებენ დახმარებას. მაგალითად, პენსიონერები და შშმ პირები. ჩვენ პროექტის ფარგლებში აღმოჩენილ ხარვეზებს იმ არასამთავრობო სექტორს ვაცნობთ, რომლებიც სოციალური კუთხით აქტიურად მუშაობენ, ვეცნობით და ვითვალისწინებთ მათ რეკომენდაციებს," –განაცხადა პროექტის კოორდინატორმა ქრისტინა კვეტენაძემ.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის", „ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" და „თაობათა დიალოგის" წარმომადგენლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ სოციალური დახმარების პროგრამა დახვეწას საჭიროებს, ვინაიდან სახელმწიფოს ხარჯზე შემწეობას უმეტეს შემთხვევაში შრომისუნარიანი ადამიანები იღებენ. როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, დახმარება არა მთელ ოჯახს, არამედ მხოლოდ იმ პირს უნდა მოეხსნას გარკვეული პერიოდის შემდეგ, რომელიც მუშაობას დაიწყებს ან ახალგაზრდების მოტივაციისთვის გარკვეული შეღავათები დაწესდეს.

პაატა კლდიაშვილი, „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" იმერეთის ორაგიზაციის თავმჯდომარე: „სოციალური დახმარების მიმართულებით სახელმწიფოს პოლიტიკა მოქნილი უნდა იყოს. მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს სოციალური დახმარება შრომისუნარიან პირებზე. თუმცა, მიზნობრივი შეღავათები უნდა დაწესდეს იმ ოჯახებზე, რომელთაც არასრულწლოვანები ჰყავს სარჩენი და არის სოციალურ ზღვარს ქვემოთ. დახმარება უნდა მიეცეთ ასევე მათ, რომელთაც შრომისუუნარო პირი ჰყავთ. ახალგაზრდებს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, სრულწლოვანების შემდეგ, მიუხედავად იმისა, დაიწყებენ თუ არა მუშაობას, გარკვეული დროით არ უნდა შეუწყდეთ დახმარება. რადგან საწყის ეტაპზე, როდესაც ნაკლები შემოსავლები აქვთ, გარკვეული დამატებითი ფინანსური პრობლემები აღარ შეექმნათ. დახმარება ყველას ერთიანად კი არ უნდა დაენიშნოს, არამედ ინდივიდუალური დიფერენციაცია უნდა მოხდეს. ადამიანს გარანტია არ უნდა ჰქონდეს, რომ დახმარებას მთელი ცხოვრება მიიღებს, რადგან ამით სიზარმაცის სტიმულირება არ მოხდეს. ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს მოტივაცია, მოძებნოს სამუშაო და მთელი ცხოვრება სახელმწიფოს კმაყოფაზე არ იყოს".

არასამთავრობო ორგანიზაცია People in Need, სოციალური დახმარების მოქნილობის და დახვეწის მიზნით, მუშაობის გაგრძელებას და ცვლილებების ადვოკატირებას აპირებს.

ნესტან ჩაგელიშვილი

პროექტი „ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს"

პროექტი „ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს" საქართველოს 5 მუნიციპალიტეტსა და 50 სოფელში სამოქალაქო განვითარების სააგენტოს – „სიდა"-ს მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. იმერეთის მხარეში პროექტის პარტნიორი ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრია. პროექტი რამდენიმე მიმართულებით მუშაობს, მათ შორის ერთ-ერთი მთავარი ქართველი მიგრანტების უფლებების დაცვა და მათი ინფორმირებულობის დონის გაზრდაა.

პროექტის ფარგლებში გახსნილია საკონსულტაციო ცენტრები როგორც სოფლებში, ასევე თურქეთსა და საბერძნეთში. ამ ცენტრებში მოქალაქეებს შეუძლიათ, მიიღონ სხვადასხვა სახის მომსახურეობა. კერძოდ, მიგრაციასთან, მოქალაქეობასთან, ქონებრივ და ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებით კონსულტაციებს პროფესიონალი იურისტები უწევენ. საჭიროების შემთხვევაში საგანგებო საკითხებზე ხდება შესაბამის კომპეტენტურ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანიზაციებთან ოპერატიული გადამისამართება.

პროექტი პოტენციურ შრომით მიგრანტებს ლეგალურად მუშაობის დაწყებაშიც უწევს დახმარებას და პერიოდულად ბენეფიციარებს ამ ორ ქვეყანაში არსებულ ვაკანსიებსაც აცნობს.

ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრს, პროექტის „ინდივიდუალური დამხარება ქართველ მიგრანტებს" ფარგლებში, 42-მა ბენეფიციარმა მომართა, რომლებსაც მიგრაციასთან დაკავშირებით სხვადასხვა ტიპის პრობლემები შეექმნათ. როგორც პროექტის რეგიონალური კოორდინატორი იმერეთის მხარეში თეა შელია ამბობს, მომართვიანობა უფრო მეტია, თუმცა, მოქალაქეები, სხვადასხვა მიზეზების გამო, თავიანთ ვინაობას მალავენ და არ სურთ ბაზაში მათი მონაცემების დაფიქსირება.

პროექტის ერთ-ერთი მიზანია პოტენციურ მიგრანტებს ლეგალურ და არალეგალურ მიგრაციას შორის განსხვავებები, დადებითი და უარყოფითი მხარეები დაანახოს. სწორედ ამ მიზნით, ზაფხულში დაიწყო კამპანია „ქალი და მიგრაცია". პირველ ეტაპზე სოფლის კონსულტანტებისათვის და რეგიონული პარტნიორებისათვის ჩატარდა „პირველი ნაბიჯის" ტრენინგები. ანალოგიური ტრენინგები თავად ტრენინგის მონაწილეებმა თავიანთ სამიზნე აუდიტორიებთან ჩაატარეს. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ფილმი „პირველი ნაბიჯი", ანუ რა უნდა იცოდეს თურქეთსა და საბერძნეთში წასვლის მსურველებმა".

თეა შელია: „ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის ინიციატივით, ფილმის — „პირველი ნაბიჯის" სახელმძღვანელო, ანუ რა უნდა იცოდეს საბერძნეთსა და თურქეთში გამგზავრების მსურველებმა" — ჩვენება ქუთაისში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა.

ფილმში წარმოდგენილი იყო ყველა ის ძირითადი საკითხი და პრობლემა, რომელიც თურქეთსა და საბერძნეთში მიგრანტებს შეიძლება შეექმნათ, ასევე კონკრეტული ისტორიები, რომელიც ლეგალურ და არალეგალურ მიგრანტებს გადახდათ თავს. ფილმის ჩვენების შემდეგ მიგრაციის საკითხებზე გაიმართა დისკუსია. დამსწრეთა შეკითხვებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი ნუგზარ კოხრეიძე პასუხობდა."

ფილმმა თითქმის მთელი იმერეთი მოიარა, ის 12 სოფელში აჩვენეს და ჩვენებების შემდეგ ყველა შეხვედრაზე დისკუსია გაიმართა. ეს დისკუსიები ყველაზე უკეთ აჩვენებდა, რეალურად რა ტიპის პრობლემებია მიგრაციასთან დაკავშირებით და რამდენად მნიშვნელოვანია მთელი რიგი საკითხების მოგვარება.

თეა შელია: „პროექტის მთავარი კომპონენტი ბენეფიციარების კონსულტირებაა, იმ შეკითხვებს, რომლებსაც ისინი სვამენ, ჩვენ სამოქალაქო განვითარების სააგენტოში ვაგზავნით და ამ ორგანიზაციის იურისტები კომპეტენტურ პასუხებს გვაწვდიან. ამის გარდა, საქართველოდან თურქეთსა და საბერძნეთში ემიგრირების მსურველ მოქალაქეებს პროექტი სთავაზობს შემდეგ დახმარებას: კონსულტაციებს და ტრენინგებს თურქეთსა და საბერძნეთში შრომითი მიგრაციის სამართლებრივ და პროცედურულ მხარეებზე, ცხოვრების პრაქტიკულ დეტალებზე, საჭირო ორგანიზაციებზე და ა.შ, რაც ბენეფიციარების მიერ წასვლა-არწასვლის შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას შეუწყობს ხელს; დახმარებას თურქეთსა და საბერძნეთში სეზონური თუ სხვა სახის ლეგალური დასაქმების შესაძლებლობების მოძიებასა და განაცხადის წარდგენაში; ასევე დახმარება თურქეთსა და საბერძნეთში შრომითი მიგრაციისათვის საჭირო პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწაში, გადამზადებაში.

პროექტის ცნობადობის ხარისხის ასამაღლებლად ხშირად იმართება სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო კამპანიები, თუმცა, ჩვენ გვინდა, რომ, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა იცოდეს ამ პროექტის არსებობის შესახებ. ამიტომ **დაინტერესებულმა პირებმა ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ მისამართზე:**

ქუთაისის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი; გრიშაშვილი ქ. მე-4 შეს. №3, T:(0431) 25 13 30;

რეგიონული კოორდინატორი:
თეა შელია — (0431) 25 15 30;
ან იხილეთ ვებ-გვერდი:
www.migrant.ge

პროექტი „ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს" ინიცირებულია სამოქალაქო განვითარების სააგენტოს — „სიდა"-ს მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტი ხორციელდება საქართველოს 5 რეგიონში — შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, იმერეთი, სამეგრელო, აჭარა. იმერეთში პროექტის პარტნიორია ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი.

საქველმოქმედო ორგანიზაციიდან მკურნალობისთვის მიღებული თანხა აღარ დაიბეგრება

საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შედის. მისი მიზანი, როგორც ფინანსთა სამინისტროში განმარტავენ, საქველმოქმედო საქმიანობის მხარდაჭერაა.

ცვლილების თანახმად, ყველა ბენეფიციარი, რომელიც საქველმოქმედო საქმიანობის ფარგლებში მკურნალობის ან/და სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქველმოქმედო ორგანიზაციიდან მიიღებს სარგებელს და დახმარებას, თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან.

„ამასთან, აღნიშნული სარგებლის თანხა არ გაითვალისწინება ფიზიკური პირის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავლებში და, შესაბამისად, ამ ნაწილში თავისუფლდება ქონების გადასახადისგან," — განმარტავს ფინანსთა მინისტრი **ნოდარ ხადური.** მინისტრი იმედოვნებს, რომ ინიციატივა ხელს შეუწყობს საქველმოქმედო საქმიანობის ფარგლებში უფრო მეტი თანხის მიმართვას და მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება ჩვენი იმ თანამოქალაქეებისთვის, რომლებიც ისედაც დიდი სოციალური დანახარჯების წინაშე დგანან.

აღნიშნული დებულებების მოქმედება გავრცელდება 2015 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

bpi.ge

მობილურ ქსელებში საერთაშორისო ზარების დასრულების მომსახურება აქციზით დაიბეგრება

საქართველოში მობილურ ქსელებში საერთაშორისო ზარების დასრულების მომსახურება აქციზით განხორციელებული ზარის ხანგრძლივობის მიხედვით დაიბეგრება. საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებებით, დაბეგრვა შემდეგი სქემით მოხდება: ერთ წუთზე 15 თეთრით, ფიქსირებულ ქსელში კი დასრულებისათვის ერთ წუთზე — 8 თეთრით.

მობილურ საკომუნიკაციო მომსახურებაზე აქციზის განაკვეთი მცირდება 10%-დან 8%-მდე.

გარდა ამისა, საქართველოში მობილურ და ფიქსირებულ ქსელებში საერთაშორისო ზარების დასრულების მომსახურება გათავისუფლდება დამატებული ღირებულებისგან ჩათვლის უფლებით.

bpi.ge

ძალადობა, ინტროექტები და არჩევანი

გენდერული ნიშნით?

მგონია, რომ ეს გენდერული ნიშნით ჩადენილი მკვლელობებია. თუკი ამ ამბების ირგვლივ გაკეთებულ კომენტარს გადახედავთ, სიტყვის „ქალი" მაგივრად სიტყვა „კაცი" ჩასვამთ და თუ არაფერი შეიცვლება, მაშინ დაგეთანხმებით, რომ ეს გენდერული ნიშნით ჩადენილი მკვლელობები არაა.ჩემს მიერ გადაკეთებული რეალური კომენტარი განვიხილოთ:

ძალადობას კი ვგმობ, მაგრამ ღალატმა კაცს შეიძლება ყველაფერი ჩაადენინოს. ჩვენთან მანდილოსანი ოჯახის სიმბოლოა, ამიტომ მისი ღალატი განსხვავებულია. კაცს უჭირს გამოწვევაზე უარის თქმა, ეს სირცხვილიცაა. ქალი კდემით უნდა იყოს შემოსილი, რადგან ის პირველ რიგში შვილების დედაა.

წარმოიდგინეთ, ასეთი რამ რომ ეწეროს:

ძალადობას კი ვგმობ, მაგრამ ღალატმა ქალს შეიძლება ყველაფერი ჩაადენინოს. ჩვენთან ვაჟკაცი ოჯახის სიმბოლოა, ამიტომ მისი ღალატი განსხვავებულია. ქალს უჭირს გამოწვევაზე უარის თქმა, ეს სირცხვილიცაა. კაცი კდემით უნდა იყოს შემოსილი, რადგან ის პირველ რიგში შვილების მამაა.

ყურში გხვდებათ? მეც.

არა, იმიტომ კი არა, რომ „ქალს უჭირს უარის თქმა გამოწვევაზე" (უმარავი ქალია დედამიწის ზურგზე, ზოგს რა უჭირს და ზოგს — რა). უბარლოდ, ეს მსჯელობა ლოგიკას მოკლებულია, რაც ბევრისათვის რატომღაც მეორე პრაგრაფში უფრო ნათლად ჩანს, ვიდრე პირველში. არადა, ორივე ერთნაირად უსაფუძვლოა. ჰოდა, როდესაც ასეთი დამოკიდებულებაა მკვლელობის მიმართ, როდესაც ქალს ვაბრალებთ, ეგება უღალატა, ეგება გამოიწვიაო, როდესაც კაცის მიერ ქალის მკვლელობაზე ვიძახით — კაცმა კი არ მოკლა ქალი, არამედ უბრალოდ მოძალადემ მსხვერპლი მოკლაო (ვითომ მსხვერპლი უსქესო არსებაა), როდესაც არ ვამჩნევთ სტატისტიკას, ე.ი. ჩვენ, როგორც საზოგადოება გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას ჩავდივართ.

ეს კომენტარი საზოგადოებაში ხშირად მოსმენილი აზრების კარგი მაგალითია. აერთიანებს მრავალ მოსაზრებას, რომელიც არსებობს, ტრიალებს, რომლებსაც არგუმენტადაც იყენებენ, რომლებიც ჩვენს ქცევასა და წარმოდგენებს არეგულირებს. გარედან შემოსული აზრებია, ისინი ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე საჭირო იყო, მათ ფსიქიკის ადაპტაციაში რაღაც როლი ჰქონდა. ასეთ აზრებს გეშტალტ ფსიქოლოგიაში ინტროექტების სახელწოდებით მოვიხსენიებთ

გენდერული ინტროექტები

გენდერული ინტროექტების სქემა ასეთია:

მე ბიჭი ვარ. სამყარო მუდმივად იცვლება. ცხოვრებაში მუდამ ახალი გამოწვევები მხვდება. მათგან ზოგიერთს, შესაძლოა, ვერ გავუმკლავდე. მაგალითად, ბავშვობაში, სათამაშის გაყოფისას მომხდარი ჩხუბის დროს მეუბნებიან „არაუშავს, ბიჭი ხარ, არ იტირო. თავი დაიცავი". ამ დროს მტკივა. თუკი რამე დამაწყნარებელ წინადადებას არ მოვუსმინე, ტკვილი როგორ დავივიწყო? და მეც ვიჯერებ, რომ ჩხუბი, ფიზიკურად რომ უსიამოვნოა, სინამდვილეში კარგი რამ ყოფილა. ჩემდა უნებურად მიყალიბდება ეს აზრი „ბიჭი ვარ და ჩხუბით თავი უნდა დავიცვა". თუ კი ეს აზრი აღარვინ განმიმტკიცა, თავისით გაქრება. მაგრამ თუ მოვისმინე, ერთხელ, ორჯერ, მესამეჯერ უკვე შეხსენების გარეშე ამით დავიწყნარებ თავს. ამით გავამართლებ ჩემი ხელშეუხებელი ფიზიკური მთლიანობის დარღვევას. ბავშვობაში ჩემი „მე"-სთვის ეს აუცილებელი, ხელჩასაჭიდებელი, გადამრჩენელი სტრატეგიაა.

გადის დრო და სუფრასთან შეკრებილი ბიძები, ისინი, რომლებიც ჩემთვის უდიდეს ავტორიტეტს წარმოადგენენ, რომლებსაც ძალიან მინდა მოვეწონო, რომლებიც სულ ათასში ერთხელ თუ შემამჩნევენ (რადგან ისე სულ დედასთან ვარ), გვერდზე დამისვამენ, თავის ტოლად ჩამთვლიან და ძალიან მნიშვნელოვან რამეს მასწავლიან, მაგალითად „ოჯახში კაცია მთავარი". ვიზრდები და ხშირად მესმის ასეთი ფრაზები, მამისგან, მეზობელი ლამარასაგან. და ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი აზრი ხდება, რადგან მე უფროსები მესაუბრებიან. ჩემთვის აუცილებელია მათი მოსმენა, მათი აღიარება.

მაგრამ, მე ბიჭი ვარ. სამყარო მუდმივად იცვლება. ცხოვრებაში მუდამ ახალი გამოწვევები მხვდება. მე კი ძველი, ოდესღაც მნიშვნელოვანი სტრატეგიით ვაგრძელებ ახალ, სხვა ტიპის გამოწვევებთან ბრძოლას. გამკვლავების ძველი სტრატეგია ახალ სიტუაციაში აღარ მეხმარება, თუმცა იმდენად გამჯდარი მაქვს, რომ ამას ვერც კი ვამჩნევ. მე მაქვს გამოუსადეგარი, მაგრამ მნიშვნელოვანი წარმოდგენა, ანუ ინტროექტი.

ინტროექტი, როგორც ასეთი

ინტროექტების უმრავლესობა ბავშვობიდან მოდის და აქ კარგად ჩანს ამ ინტროექტების შემქმნელების — დედა, მამა, ოჯახი, მასწავლებელი — როლი. ბევრი ინტროექტი მოზარდობის დროს ყალიბდება — როდესაც ადამიანი საკუთარი რწმენების ძიებაშია. ამ შემთხვევაში გარემო, თანატოლები უფრო დიდ მნიშვნელობას იძენენ. პრობლემა იმაში კი არ არის, რომ რაღაც ღირებულებათა სისტემა მივითარდება, პრობლემა იმაშია, რომ ეს ღირებულებათა სისტემა იმდენად ურყევი და უდრეკელია, რომ ზოგიერთ შეუსაბამო სიტუაციაში ხელს მიშლის.

მოქნილობის სიმწირე ინტროექტის მთავარი მახასიათებელია, რაც ხშირად ადვილად ჩანს. მაგალითად, ინტროექტი ხშირად იწყება სიტვით „უნდა". „ქალი უნდა დაემორჩილოს კაცს" — ეს უპირობო მოცემულობაა. მე, ინტროექტის მატარებელ პიროვნებას მავიწყდება, ვინ მითხრა, რომ ეს ასე „უნდა", რისთვის, რა დროს, რა პირობებში მითხრეს, მაგრამ მახსოვს, რომ „უნდა".

ერთმა ლექტორმა მითხრა, მოგონებები კრისტალიზებული მარილივით არის, იყრება მარილი წყალში, იხსნება, დრო გადის, წყალი ორთქლდება, მარილები რჩება, ხოლო წყალი, წყალი აღარ გვახსოვს და ჩვენც გვჯერა, რომ ყოველთვის მხოლოდ მარილი არსებობდა.

ინტროექტები აბსოლუტურია. ინტროექტი მოქმედებს პრინციპით, ყველგან და ყოველთვის ასეა, ყველასათვის. ეს კი, უბრალოდ, სიმართლე არ არის: შეუძლებელია ერთი და იგივე გზა მისაღები იყოს სხვადასხვა აღზრდის, ასაკის, პოზიციის, გამოცდილების, შინაარსის მქონე ადამიანისათვის. ის კი არა, ილუზიაა, რომ ადამიანი უცლელ მთლიანობას წარმოადგენს — ადამიანი იზრდება, იცვლება. მინდა ეს მე თუ არა, 30 წლის ასაკში ჩემი ემოციები და ფიქრები განსხვავდება 5 წლის ასაკში ჩემი ემოციებისა და ფიქრებისაგან და ლოგიკურია, რომ გამოწვევებთან გამკვლავების ზოგიერთი სტრატეგია, თუნდაც ის, რომელიც გუშინ მეხმარებოდა, დღეს, სხვა სიტუაციაში, ჩემთვის დამღუპველია. მაისური, რომელსაც 5 წლის ასაკში ვიცვამდი, დღეს აღარ ჩამეტევა, რადგან ჩემი სხეული შეიცვალა. ასეა ფსიქიკაც. ასეა გარემოც. ცვლილება მუდამ ხდება, გვინდა ჩვენ ეს თუ არა.

ამიტომ არის, რომ გეშტალტ ფსიქოლოგიაში ხშირად ვიმეორებთ „უნდა" არ არსებობს. თუკი ადამიანს მისი ინტროექტები უშლის, ვცდილობთ, ეს ინტროექტები გამოვააშკარავოთ.

კომენტარის ანალიზი

ადამინისათვის, რომელსაც გარკვეული ინტროექტი არ გააჩნია, ძალიან ადვილია ამ ინტროექტის „უსუსურობის" დამტკიცება.

მაგალითად, განვიხილოთ ზემოთხსენებულ კომენტარში მოცემული ინტროექტები.

1. ძალადობას კი ვგმობ, მაგრამ — შეუძლებელია ადამიანი თან ძალადობას გმობდეს, თან „მაგრამ"-ს იძახდეს. ან პირველი ნაწილია სიცრუე, ან „ მაგრამ"-ის მერე დაწერილი. ალბათ, პირველი ნაწილი. უმრავი ადამიანისათვის მისაღებია ძალადობის გარკვეული ფორმები, მაგალითად კარატეში, სადაც ძალადობა შეთანხმებული წესებით მიმდინარეობს. „არასოდეს უნდა ვიძალადო" ისევეა ინტროექტი, როგორც „ყოველთვის უნდა ვიძალადო".

2. ღალატის გამო კაცმა შეიძლება ყველაფერი ჩაიდინოს — შეიძლება. შეიძლება არ ჩაიდინოს. შეიძლება მოკლას. შეიძლება თავი მოიკლას. შეიძლება განქორწინება მოითხოვოს და ქალის მიერ ნაშოვნი ნახევარი ქონება წაიღოს. შეიძლება გაუხარდეს, ძლივს არ მოვიშორე ეს წურბელა, თან ისე, რომ სულ მისი ბრალიაო. უამრავი რამ შიძლება. თავისთავად, ღალატის საპასუხოდ მკვლელობა კაცის ან ქალის უპირობო რეაქცია არაა.

3. ქალი ოჯახის სიმბოლოა — როგორი ქალი? ზოგადად ქალი? გათხოვილი ქალი? ჯარისკაცის დედა? უშვილო ქალი? თუკი სიმბოლოა, მერე რა — ყველა სიმბოლო ჭეშმარიტია? რადგან ახლა ასეა, სულ ასე უნდა იყოს? ვისთვის არის სიმბოლო? თუ ზოგისთვის ეს ასე არ არის, მაშინ?

4. კაცს უჭირს უარის თქმა გამოწვევებზე — იხ. წინა პარაგრაფი. ჯერ ერთი, ყველაფერს სახელი დავარქვათ და თუ სექსუალურ გამოწვევებზე გვაქვს საუბარი, ეგრე დავწეროთ. მეორეც, ამ პლანეტაზე ერთი კაციც რომ გამოჩნდეს, რომელსაც არ უჭირს სექსუალურ გამოწვევებზე უარის თქმა (მაგალითად ასექსულია), ეს არგუმენტი ძალას კარგავს.

5. ქალი კდემამოსილი უნდა იყოს — ვინა სთქვა თითქოს... ვისთვის არის საჭირო რომ ქალი კდემამოსილი იყოს? ქალისთვის? კაცისთვის? შვილისათვის? მეზობელი ლამარასათვის? რატომ უნდა იყოს კდემამოსილი? ვინც კდემამოსილია უფრო ბედნიერია? ვინც კდემამოსილია უფრო უბედურია? ვინც კდემამოსილია უკეთ ინარჩუნებს ოჯახს? რას ნიშნავს ჩემთვის „კდემამოსილი"? საიდან წამოვიდა ეს „უნდა"? რაში გვეხმარება ან რაში გვიშლის ხელს? მე რომ ვთქვა ქალი კდემამოსილი არ უნდა იყოს, ვისი სიტყვა გადაწონის? ეს წინადადება კლასიკური ინტროექტია — სიტყვა „უნდა", მუდამ და ყოველთვის, ყველა ქალი, ა.შ.

5. პირველ რიგში შვილების დედაა — თუ მაინცა და მაინც კდემამოსილია, ვერ იქნება შვილების დედა... ეს ისე, ხუმრობით, თორემ ყველას აქვს საკუთარი არჩევნის უფლება. ვინ თქვა, რიმ ქალი, პირველ რიგში, შვილების დედაა? ეგება და ამჟამად, პირველ რიგში, შვილიშვილების ბებიაა? ეგება და ლექციას ატარებს და იმ 1 საათის განმავლობაში, პირველ რიგში, ლექტორია? იქნებ 5 წლისაა და, პირველ რიგში, შოკოლადით გათხუპნული მოუსვენარი გოგონაა? იქნებ, პირველ რიგში, გამოჩენილი მუსიკოსია? იქნებ, პირველ რიგში, მონაზონია? ესეც ძალიან გამჯდარი, ურყევი ინტროექტია, რომელიც გარკვეული ასაკის, მდგომარეობისა და სურვილების ქალის ერთ მდგორმარეობას იმავე ქალის ან ყველა სხვა ქალის ყველა სხვა მდგომარეობაზე მაღლა აყენებს.

რატომ არის ერთი შეხედვით უსაფუძვლო ინტროექტებთან დამშვიდობება ასეთი რთული? იმიტომ, რომ ყველა მათგანი ოდესღაც რაღაცაში მეხმარებოდა. ეს იგივეა, ადამიანს რომ მთხოვონ, იმ ძველ მეგობარს დაშორდი, იდრე რომ სულ გეხმარებოდა და ახლა სულ რომ გატყუებსო. შეიძლება ვერც კი დავიჯერო, რომ მატყუებს. რომც დავიჯერო, შეიძლება მასთან ყოფნა იმდენად მნიშვნელოვანი იყოს ჩემთვის, რომ ტყუილსაც ვაპატიებ.

არჩევანი და პასუხისმგებლობა

ახლა კიდევ ერთი ინტროექტი არ ჩამოგვიყალიბდეს: ინტროექტები ყოველთვის ცუდია. ინტროექტებს ყოველთვის უნდა ავარიდოთ თავი. არა, დარწმუნებული ვარ, რომ ახლაც 1000 ინტროექტი მაქვს თავში, რომელიც რაღაცაში მადგება. ამ მომენტში ხელს არ მიშლის. მაგრამ, როგორც კი შემიშლის, დიდი შიშის მიუხედავად, მაინც დავაკვირდები. იმიტომ, რომ მე მინდა გაცნობიერებულად, გააზრებულად მივიღო გადაწყვეტილება და არა უხსოვარი დროიდან ჩემს თავში ჩაფლული ინტროექტის ზეგავლენით. მე მინდა, სამყაროს ცვლილებას, ჩემს ცვლილებას წამოვეწიო და უფრო ეფექტურად გავუმკვალვდე გამოწვევებს. თუმცა, ზუსტად ასეთივე უფლება მაქვს ჩავეჭიდო ძველ ინტროექტს. უბრალოდ, უნდა ვაღიარო, რომ ეს ჩემი ძველი ნაცნობია, ჩემი ძველი მშველელი, და არა — ყველასთვის მისაღები, სასარგებლო, დიდი მორალური დატვირთვის მქონე ჭეშმარიტება.

გამოწვევის წინ ვართ ახლა, ახალი დროის, ამ საუკუნის, ამ წლის, ამ თვის, ამ წუთის გამოწვევის წინ ვართ და საინტერესოა, გადავხედავთ აქამდე მოცემულ მოდელს („ბიჭი ვარ და უნდა ვიძალადო. კაცი ოჯახის თავია"), გავაცნობიერებთ რომ ეს ჩვენი პირადი, შეიძლება სხვისთვის მცდარი მოცემულობაა, თუ ცვლილებას ავირჩევთ.

ჩვენია ეს არჩევანი.

ლიკა ბარაბაძე
tabula.ge

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: ეს კვირა ცუდია ძვირფასი საყიდლებისათვის და ფინანსური ოპერციებისათვის. სესხად გაცემული თანხა დიდი წვალების და დაგვიანების შემდეგ დაგიბრუნდებათ. თავს იჩენს ქრონიკული დაავადებები.

კურო: აქტიური და მრავალფეროვანი დღეები გელით. დიდია ალბათობა, რომ მოგიწევთ საკუთარი ინტერესების დაცვა როგორც საქმით, ასევე სიტყვით. იმისათვის, რომ თქვენი მორიგი პროექტი გავიდეს, თქვენ უნდა დაარწმუნოთ არა მარტო ხელმძღვანელობა, არამედ კოლეგებიც.

ტყუპები: სულ ტყუილად ეძებთ იოლ გამოსავალს. გზავნილი შეიძლება იყოს დაფარული იქ, სადაც თქვენ არ ელით, ყურადღებით იყავით, ამ დღეებში მიღებული ინფორმაცია მომავალში გამოგადგებათ.

კირჩხიბი: მთავარია, არ დაკარგოთ იმედი. შეიძლება არ გამოვიდეს ის საქმე რასაც გეგმავდით, თუმცა სულ მალე ყველაზე ფანტასტიკური ოცნების განხორციელებასაც კი შეძლებთ, ნუ აჩქარდებით.

ლომი: სამსახურში და პირად ცხოვრებაში სასიამოვნო ინფორმაციები ხასიათს გამოგიკეთებთ. შეიძლებთ სამსახურეობრივი კონფლიქტების დარეგულირებას, სასიამოვნო ატმოსფეროს შექმნას და ნაყოფიერ მუშაობას.

ქალწული: მზად იყავით საკუთარ თავთან საბრძოლველად. შესაძლებელია, ძალიან მნიშვნელოვან რამეს მიხვდეთ, ნუ აჩქარდებით და მოუფიქრებელ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. არ ღირს საქმიანი დოკუმენტების ხელმოწერაც.

სასწორი: ისეთი საქმეებით დაკავდით, რომლებიც სარგებელს მოიტანენ არა მარტო ფინანსური, არამედ სოციალური თვალსაზისითაც. ეცადეთ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოაგროვოთ, ნურავის ენდობით ცარიელ სიტყვაზე.

მორიელი: ნუ დაიტოვებთ საქმეს მომავლისთვის. არ ღირს სამსახურში დროის დაკარგვა უსაქმურობაზე. ეცადეთ, ყველა დაგეგმილი საქმე დროულად გააკეთოთ.

მშვილდოსანი: გუნდური მუშაობისთვის იყავით მზად. ეცადეთ, კოლეგებს არ მოახვიოთ თქვენი წესები და მოსაზრებები. შეინარჩუნეთ ოქროს შუალედი.

თხის რქა: ხანმოკლე მივლინებებს წარმატებით დაასრულებთ და შემოსავალსაც მიიღებთ. ერთი საქმის კარგად დასრულებისთანავე სასწრაფოდ შეუდექით მეორეს.

მერწყული: სამსახურში მოიკრიბეთ ძალები. ეცადეთ, არ იფიქროთ ოჯახურ პრობლემებზე. შეიძლება ემოციები გაგიმძაფრდეთ, თუმცა ნუ მისცემთ საშუალებას თქვენით მანიპულირების.

თევზები: დიდია ალბათობა სასიკეთო ცვლილებებისა, რომელიც ბევრ რამეზე, მათ შორის პირად და საქმიან სფეროზე დადებითად იმოქმედებს.

ქუთაისში პარლამენტის დარჩენის მოთხოვნით არასამთავრობო ორგანიზაცია შეიქმნა

საქართველოს მთავრობის მიერ კონსტიტუციის 48-ე მუხლის დარღვევას ქუთაისში ახალი არასამთავრობო ორგანიზაციის „დაიცავი კონსტიტუციის 48-ე მუხლის" შექმნით აპროტესტებენ.

საქართველოს პარლამენტის ქუთაისში დასარჩენად ორგანიზაცია აქტიურ მუშაობას იწყებს. როგორც ორგანიზაციის წევრები აღნიშნავენ, ქვეყნის თანაბარი განვითარების პირობა საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისში ფუნქციონირებაა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპა ჩვენი სახლია"-ს დამფუძნებელი თორნიკე ბარათაშვილი აღნიშნავს, რომ საკანონმდებლო ორგანო სხდომებს ქუთაისში თვეში მხოლოდ 6 დღეს მართავს. ქუთაისისთვის პარლამენტის მნიშვნელობასა და აუცილებელობაზე სასაუბროდ „კონსტიტუციის 48-ე მუხლი" ახალგაზრდებთან და თემატურ ჯგუფებთან შეხვედრას არა მხოლოდ ქუთაისში, არამედ რაიონებშიც გეგმავს. პირველი შეხვედრა ბაღდათის მუნიციპალიტეტში გაიმართება.

„როგორც საზოგადოებას მოეხსენება, პარლამენტი ნაწილობრივ გადავიდა თბილისში, რის გამოც დაირღვა კონსტიტუციის 48-ე მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია, რომ საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელი არის ქუთაისი და საკანონმდებლო ორგანოს გადატანა მხოლოდ საომარი ვითარების დროსაა ნებადართული. სამწუხაროდ, თურმე დეპუტატების კრიტიკას მოუწესრიგებელი ქუთაისი იწვევს, რის გამოც დელეგაციების მიღება უჭირთ. ამ ყველაფრით კი შეურაცხყოფას გვაყენებენ. ხშირად უთქვამთ, რომ თბილისი-ქუთაისის გზა იყო დამღლელი და ხარჯს წარმოადგენდა. სამაგიეროდ, ბევრად მეტი ხარჯი გაიღეს თბილისში მდებარე პარლამენტის შენობის რემონტზე. მოვუწოდებთ დეპუტატებს, ნუ დაარღვევენ კანონს, საზოგადოებას კი ჩვენს კამპანიაში ჩართვისკენ მოვუწოდებთ, რადგან პარლამენტი ქუთაისისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა," — განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია „ლიბერალური კლუბის" დამფუძნებელმა **ქეთი ბერძენიშვილმა.**

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

მადლობა

მინდა, **კარინ და გერჰარდ მიულერებს** ქალაქ ვადერნიდან (გერმანია), დიდი მადლობა გადავუხადო და ვუსურვო ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე. მათთან ერთად, მინდა, მადლობა გადავუხადო ქუთაისის ქართულ-გერმანული ცენტრის დირექტორს, ქალბატონ **ნანა მეგრელიშვილს** და მის თანამშრომლებს!

მე 75 წლის პირველი ჯგუფის ინვალიდი ვარ, მყავს უმუშევარი შვილი და რძალი, მოსწავლე შვილიშვილი, ვარ სოციალურად დაუცველი. 2014 წლის 8 ოქტომბერს კი ჩემი ოჯახისთვის ბედნიერი დღე იყო, რადგან მივიღე ძვირფასი საჩუქარი თქვენგან. თქვენისთანა კეთილმა ადამიანებმა უნდა იმრავლოს!

დიდი მადლობა ჩემი ოჯახის დახმარებისთვის.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

მზისადარი ზარანდია

უფასო განცხადებები

იყიდება

- 50 m^2 არასტანდარტული ერთოთახიანი ბინა (34 m^2 ოთახი+16m^2 სამზარეულო-სააბაზანო), ქუთაისის ცენტრში, საუკეთესო ხედით, სარემონტო. ფასი შეთანხმებით.

ტელ.: **(0 431) 24 40 66**

- იყიდება სამოსახლო ეზო ქუთაისში, ტყიბულის ქუჩაზე. 500 კვადრატული მეტრი. ფასი შეთანხმებით.

ტელ.: **599 41 27 49;**
25 38 17

როგორ განვათავსოთ განცხადება გაზეთ „P.S."-ში („პოსტსკრიპტუმში")

უფასოდ
ქვემოთ მოცემულ კუპონზე

განცხადებების მიღება ხდება კერძო პირებიდან

დაბეჭდვის თარიღი დამოკიდებულია კუპონის მიწოდების თანმიმდევრობაზე
კუპონი უნდა ჩაბარდეს
რედაქციაში - ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქუჩა 37ა;
სავაჭრო ცენტრ „ფუდმარტში"(ყოფილი „პოპული") - წიგნების მაღაზია „ქიმერიონი", რუსთაველის 141.
არ მიიღება კანონთან შეუსაბამო, შეურაცხმყოფელი, უხამსი, ეროტიკული შინაარსის განცხადებები.
განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში

მცირე განცხადების კუპონი

აღნიშნე კატეგორია

უძრავი ქონება
☐ გავყიდი
☐ ვიყიდი
☐ გავაქირავებ

ავტო-მოტო
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი

სამსახური
☐ ვეძებ სამუშაოს

სხვადასხვა
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი
☐ სხვა

☐ ცხოველები

განცხადების შინაარსი

ტელ.: >>

სახელი და გვარი (მხოლოდ რედაქციის ცნობისათვის)

კონტაქტი (მობილური ან სტაციონალური)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

☐ **არ ვარ განცხადების შინაარსთან დაკავშირებული კერძო მეწარმე**
☐ ვაცხადებ თანხმობას, ფირმის მიერ გამოყენებულ იქნას განცხადებაში აღნიშნული მონაცემები

ხელმოწერა გარკვევით _____

რედაქციას აქვს უფლება, კუპონზე შევსებული ერთჯერადი განცხადება დაბეჭდოს კუპონის ჩაბარების დღიდან 14 დღის განმავლობაში
კუპონი (ერთჯერადი) არის ძალაში მისი გამოქვეყნების დღიდან 3 კვირის განმავლობაში.

27.10.2014

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ქუთაისის ლადო მესხიშვილის დრამატული თეატრის მსახიობი **დათო როინიშვილი**, სამწუხაროდ, ჩვენმა მკითხველმა ვერ ამოიცნო.

რას დაარქმევდით?

ბიბი უგულავა

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ქუთაისის მერი შოთა მურღულია

გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ, ერიდე მაამებლებს, ისინი გადაცმული ქურდები არიან.

შაქრო გაბელაშვილი

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

კროსვორდი

ჰორიზონტალურად:
3. კ. გამსახურდია „... მოტაცება"; 5. ათჯერ ასი; 6. მდინარე და ქალაქი ბაშკირეთში; 8. მწვერვალი ჩრდ. ამერიკაში ... კილი; 9. ციმბირული მარხილში შესაბმელი ძაღლის ჯიში; 11. დიდი მდიდრული სახლი.

ვერტიკალურად:
1. ბურახის სასმელი; 2. დიდი ჩაქუჩი; 3. ანდაზა: „კარგი ცხენი ... არ დაიკრავსო; 4. ძვ. ბერძენი ტრაგიკოსი მწერალი; 7. ფული ანუ? 10. ბგერის გრაფიკული გამოსახულება.



წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

ჰორიზონტალურად: 3. ბურკინა; 5. ილიკო; 6. შენ; 8. ავი; 9. მარია; 11. ავსტრია.
ვერტიკალურად: 1. არაკი; 2. ბია; 3. ბოლივია; 4. ამერიკა; 7. მახრა; 10. ქსი.

წყალტუბოში მცხოვრებნი დევნილების ყოველდღიურობა

წყალტუბოში, ყოფილ სანატორიუმ „დრუჟბა"-ში, ამჟამად 25 აფხაზეთიდან დევნილი ოჯახი ცხოვრობს. სამსართულიანი შენობის ყველა სართული დევნილებს უკავიათ. მათი საცხოვრებელი პირობები დიდად არ განსხვავდება სხვა იძულებით გადაადგილებულთა მდგომარეობისგან: საერთო საპირფარეშო და ხელსაბანი, რიგები სააბაზანოში სარეცხის დარეცხვაზე, სასმელად უვარგისი წყალი, რის გამოც წყალს მეზობელი სანატორიუმიდან ეზიდებიან. მცირე საცხოვრებელი ფართი განსაკუთრებით მრავალწევრიან ოჯახს უქმნის დისკომფორტს. ახლომახლო არ არის სასურსათო მაღაზია, სადაც ნებისმიერ დროს შეძლებენ სასურველი პროდუქტის შეძენას, რის გამოც ე.წ. „მოსიარულე ბაზარის" მანქანების ლოდინი უწევთ, რომლითაც ვაჭრები ადგილზე დაატარებენ ხილ-ბოსტნეულს. თუმცა, ყოფილ სანატორიუმში დროებით შესახლებული იძულებით გადაადგილებული პირები თითქმის შეეგუენ იქაურ პირობებს: გამრავლდნენ, მოიწყვეს თავიანთი კუთხე, შეიძინეს ავეჯი, რომელთა უმეტესი ნაწილი შუფუთული უდევთ. ენთუზიაზმით ელიან კუთვნილი ფართის მიღებას, რომელსაც სახელმწიფო მისცემს და რომელსაც გამოაწყობენ მათივე შრომით შეძენილი ავეჯით, იმარაგებენ შეშას, საკვებს ზამთრისთვის, ეზიდებიან სასმელ წყლებს და ა.შ.

ძნელია ყველა იმ პრობლემის ჩამოთვლა, რაც იძულებით გადაადგილებულ ადამიანებს აწუხებთ. წარმოგიდგენთ ფოტოკოლაჟს, სადაც მათი ყოველდღიურობაა ასახული.

ჟანა ჯანელიძე

„სამრეცხაო"

კორიდორი

აივანი

წყლის მარაგი

ეზო

სანატორიუმის ერთ-ერთი ფლიგელი

კორიდორი

„მოსიარულე ბაზარი"

ფასადი

სასმელი წყალი მეზობელი სანატორიუმიდან

ფასადი